გაზეთის ფასი:

12 თვით . .	10 მ.	— კ.
11 ,, . .	9 ,,	50 ,,
10 ,, . .	8 ,,	75 ,,
9 ,, . .	8 ,,	— ,,
8 ,, . .	7 ,,	25 ,,
7 ,, . .	6 ,,	50 ,,
6 ,, . .	6 ,,	— ,,
5 ,, . .	5 ,,	50 ,,
4 ,, . .	4 ,,	75 ,,
3 ,, . .	3 ,,	50 ,,
2 ,, . .	2 ,,	75 ,,
1 ,, . .	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 105 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 105

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ქვრივი ალათი ბეჟანის ასული მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა დაბა სამტრედიაში მეუღლისა თვისისა

ალექსი ზაქარიას ძის ლეჟავასას

დასაფლავება დანიშნულია სამშაბათ, 4 მაისს. (1—1).

რედაქციისაგან

კირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ჰღირს 7 მან. 25 კ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. 50 კ. და ქალაქ გარედ 4 მან. 50 კ.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენი 1 მაისამდე, რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოთ.

Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი“-ს

საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოზარდ ქალ ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საეროთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:** 15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46.

(15—8)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალაჭი

[illegible] ჟერა დავიწყებია, [illegible] იშვილის,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათ ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.

გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი

ჯგუფი

ქართველთ მწერლებისა

(მესამე გამოცემა).

ტარ. მომცელიძისა.

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момцелидзе.

(წლ.).

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ

შაბათს, 15 მაისს, საღამოს 7 საათზედ,

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1903 წლის მოქმედებისა,

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიურ ანგარიშის შესახებ,

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1804 წლისათვის,

4) შემოწირულება,

5) სხვა-და-სხვა მოხსენება,

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა, გამგეობის წევრთა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატებისა,

7) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (11—უ—1).

თთხშაბათს, 4 მაისს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადგომში დანიშნულია კრება რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა. კრება მოისმენს:

1) კ. ფ. განის მოხსენებას «დიდი ლიახვის სათავისა და ქსნის ხეობაზედ მოგზაურობა» და 2) მოხსენებას კ. ი. პოდოზერსკისას «თუაფსისა და სოჭის ოლქები».

კრებას მსურველი უფასოდ დაესწრება.

(2—უ—1).

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16ᶜ გვ ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაწვრილებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადდებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотности.

მთავრობის მიერ დაარსებული ქუთაისის ქალთა პროგიმნაზია.

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენიები პროგიმნაზიის ახლად გახსნილ 2 კლასში დაიწყება 18 მაისიდგან, მოსამზადებელ და პირველ კლასებში 21 მაისიდგან. დაწვრილებით ცნობები ეგზამენების შესახებ შეუძლიანთ მსურველთ შეიტყონ პროგიმნაზიაში, მესხეთის ქუჩაზედ, ტყეშელაშვილის სახლებში. (3—6—3).

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანთკის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აჯეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

გ. ს. ელვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ა. დ. ღამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. მ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

იაპონიის ჯარის რაოდენობა.—სტატს-სეკრეტარ ვიტტის აზრი.—«ნოვოე ვრემიას» შიში.—იაპონია და მეკედლინელები.—წვრილი ცნობანი.

ინგლისის გაზეთები იუწყებიან, იაპონიის მთავრობას საიდუმლო კრებაზედ 11 (24) აპრილს ახალი გეგმა შეუდგენია რუსეთ-იაპონიის ომისა, რადგან წინანდელი გეგმა ერთმა მოღალატე აფიცერმა რუსებს მიჰყიდაო.

ახალის გეგმით, ომის ველზე გაიგზავნება 4 კორპუსი, რომელშიაც 320,000 მეომარი იქნება. პირველი კორპუსი გენერალ კუროკისა იალუს უკვე გადავიდა და მანჯურიას შეესია. მეორე კორპუსი, გენერალ ოკუს უფროსობით, სამხრეთ-მანჯურიის ნავთსადგურებში გადავა და ნაწილი გადავიდა კიდეც. მესამე კორპუსი, ვლადივოსტოკისკენ გაიგზავნება და იქიდგან—ხარბინს, ხოლო ეს კორპუსი ჯერ არ შეუერთებიათ და ივნისის გასვლამდე ვერ გაიგზავნება. მეოთხე კორპუსი უკვე გროვდება და ლაოდუნის ნახევარ კუნძულზედ უნდა გადავიდეს («მოს. ვედ.»).

—

ინგლისის გაზეთების ცნობებით, ბიძივოსთან იაპონელებს სამი დივიზია გადუყვანიათ, გენერალ ოკუს უფროსობით. სულ ამ დივიზიებში 63,000 მეომარია, 126 ზარბაზნით. ერთს დივიზიას მონაწილეობა მიუღია პორტ-არტურის იერიშში 1894 წელს და თავიც უსახელნია. ეხლა ამ დივიზიაში ბევრი მაშინდელი აფიცერი მსახურობს და ყველა მათგანს კარგად აქვს შესწავლილი პორტ-არტურის მიდამოები. (იქვე).

—

გაზეთ „ნოვოსტის“ სიტყვით, სტატს-სეკრეტარ ვიტტეს უბაასნია ამსტერდამის გაზეთის ერთს რედაქტორთან და, სხვათა შორის, უთქვამს: «მე მისაყვედურებენ, რკინის გზა რომ გაიყვანე დიდ ოკეანესკენ, ომი იმიტომ ასტყდაო. ეს საყვედური სრულიად უსაფუძვლოა. მე მსურდა ჩინეთის კარი გამეღო ჰოლანდიის, ინგლისისა და ამერიკის ვაჭრობისათვის. წინ ვაჭრობა და მრეწველობა, ბოლოს სალდათები—აი ჩემი განზრახვა. რუსეთს იმ მხარეს კარგი მომავალი ექნება. როდესაც მშვიდობიანობა ჩამოვარდება, რუსეთი კვალად გაიწევს და უნახავის სისწრაფით გაძლიერდება. ჩვენ ჯერ ყრმანი ვართ და მალეც ვიზრდებით».

—

ლიაოიანში რუსებს 50,000 მეომარი ჰყავთ (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან გაზეთ «დეილი ქრონ»-ს ატყობინებენ, იაპონელთა სამხედრო ცენზურის წყალობით, მთავრობამ ჯარი ყველგან გადიყვანა, სადაც კი უნდოდა, და მეტადრე ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზედ. წინად რომ გამოემჟღავნებინათ, რა ადგილს აპირებს ჯარი გადასვლას, უეჭველია, რუსის მცირე რაზმები ხელს

შეუძლიდა და ბევრად დააზიანებდა იმ დროს, როდესაც იაპონელები ყელამდე წყალში მიდიოდნენ გემებიდგან 400 მეტრის მანძილზე (იქვე).

—

«ნოვ. ვრ.»-ს კორესპონდენტი კრავჩენკო იუწყება შორეულ-აღმოსავლეთიდგან, ვითომც «პეტროპავლოვსკი» იაპონელთა წყალში მავალ ნავს დაუღუპავს და ჯავშნიანი გემი «პობედაც» იმავ ნავს დაუზიანებია.

—

«ნოვ. ვრემია» სწერს: „უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ მარტო იაპონიის ჯარი და იაპონიის ფლოტი-კი არ გვეომება, არამედ მთლად იაპონიის ერი. უწვეროულვაშო ყრმებს სავაჭრო ძველ გემებით სასიკვდილოდ იერიში მოაქვთ, დედაკაცები ციხესიმაგრეებზე მუშაობენ. ამას წინად ორი იაპონელთა აფიცერი, რომელთაც პულიარდთან რკინის გზის აფეთქება განეზრახათ, დახვრეტის წინად გვარწმუნებდნენ, ვითომც ბევრი თავგანწირული იაპონელი იმალება კიდევ რუსეთის სამფლობელოში. შესაძლოა, ეს ტყუილიც იყოს, მაგრამ სჯობს ჩვენს რკინის გზას მუყაითად ვუდარაჯოთ, რომ მართლა უბედურება არა დაგვემართოს-რა. ხოლო რკინის გზის დარაჯობაც არა კმარა. იაპონელები სამაგალითო მეზღვაურნი არიან. განა არ შეუძლიანთ ჩვენის «მეგობრებისაგან» რამდენიმე მსუბუქი და მსწრაფლ მავალი გემი შეიძინონ და მოულოდნელი რამ ჩაიდინონ ბალტიის ზღვაზე. გვეტყვიან, ეს ლაპარაკი ხომ საბულვარო რომანსა ჰგავსო. ჩვენ-კი ვიტყვით, რომ «სიფრთხილეს თავი არ ასტკივა» და სჯობს ბალტიის ზღვაზე რიგიანად ვადევნოთ თვალ-ყური უცხოელთა გემებს, დიდსა თუ პატარას. იაპონია—მეზღვაურთა სახელმწიფოა».

—

გაზეთები იუწყებიან, ვითომც იაპონელებს მოლაპარაკება ჰქონდათ მაკედონიის რევოლიუცენერებთან და 4 მილიონ მანეთს დაჰპირებიან, თუ რომ ხალხის აჯანყებას მოახერხებენ. იაპონელებს უნდათ, ამით რუსეთს ახლო-აღმოსავლეთშიაც საქმე აუწეწონ. ინგლისის პოლიტიკოსებს ეს ამბავი შესაძლოთ მიაჩნიათ, ხოლო არ იციან, შეთანხმებულან თუ არა რევოლიუციონერების კომიტეტები და იაპონელები. ამბობენ, ვითომც კომიტეტებს წინდაწინვე მოუთხოვიათ ფული, ხოლო იაპონელებს უთქვამთ, ჯერ საქმით დაამტკიცეთ, რომ [illegible] გვიმტყუნებთო. მაინც და მაინც, რუსეთს არ შეუძლიან მთელი თავისი ყურადღება შორეულ-აღმოსავლეთს მოახმაროსო, ამბობს «სტანდ.» ვინ იცის, იქმნება, ბალკანეთის კუნძულზე ისე აიწეწოს საქმე, რომ შორეული-აღმოსავლეთი დაჩრდილოს და რუსეთს ჩარევა დასჭირდესო (ბ. ვ.).

—

როგორც ამერიკის კონსული იუწყება, ვლადივოსტოკში მიუყვანიათ იაპონელთა 26 აფიცერი და 184 დაბალი ჯარის კაცი, რომლებიც «კინშიომარუსა» და ორ სხვა დაღუპულ გემებიდგან გადაუყვანიათ. ტყვეებს ირკუტსკისაკენ ჰგზავნიან («ნ. ვ.»).

—

იაპონელებს დიდი ზარბაზნები მიაქვთ პორტ-არტურისკენ, რომ ჯერ ყუმბარებით აიკლონ და მერე იერიში მიიტანონ. როგორც ამბობენ, იაპონელებს მხოლოდ ხარბინამდე უნდათ მისვლა და იმას იქით აღარ გამოედევნებიან რუსის ჯარსო (მ. ვ.)

—

გაზეთ „ტაიმსის“ სამხედრო კორესპონდენტი იუწყება, გენერალი კაშტალინსკი წინადვე იმ აზრისა იყო, რომ რუსის ჯარს უკან უნდა დაეწია. ხოლო როდესაც ბრძოლა ასტყდა, ის გმირულად დაუხვდა მტრის უმეტესობას. თუმცა იაპონელების იერიში მართლა საოცარია, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ მთელს ევროპაში ძნელად მოიპოვება ისეთი ექვსი ბატალიონი, რომელსაც შეეძლოს ესე გმირულად წინააღუდგეს სამს დივიზიას. არც ერთს სამხედრო კაცს არ შეუძლიან ცოტაოდნად მაინც უსაყვედუროს რუსებს, რომლებმაც ესე მტკიცედ აღასრულეს ბრძანება. იმათ გაგვახსენეს დიდება რუსის იარაღისა და მტერს ადვილის გამარჯვების იმედი გაუფანტეს. იაპონელებს სამხედრო საქმე კარგად აქვთ შესწავლილი და ჯარი ევროპიელებზე უკეთესად ჰყავთ მოწყობილიო,—ამბობს იგივე კორესპონდენტი.

პორტ-არტურიდგან ხარბინს მიმავალი რკინის გზის მატარებელი 25 აპრილს ტელინთან დაიმსხვრა. 30 კაცი მოკლულია და 50 დაშავებული. გზაც ცოტად დაზიანდა.

—

იაპონიის მთავრობას უთხოვნია ჩრდილო ამერიკის მთავრობისათვის, გაგვიგე როგორმე, ტყვედ ხომ არ წაუყვანიათ ჩვენი 40 მეზღვაური, რომლებიც დავკარგეთ პორ-არტურის შესავლის დახშობის დროსაო (რ. ვ.).

—

სადგურ ხაილართან, მანჯურიის რკინის გზაზედ, ამას წინად კინაღამ სამხედრო მატარებელი დამსხვრეულა. ლიანდაგზედ ორი ასაფეთქებელი ყუმბარა დაედოთ ბოროტ-გამზრახველთ, ხოლო ისე მოუხერხებლად კი, რომ მატარებელმა გადაიარა და მხოლოდ ბოლო ვაგონების ქვეშ იფეთქა. მაშინვე მატარებელი გაუჩერებიათ მიზეზის გასაგებათ და შეუნიშნავთ, რომ მინდორში ხუთი ჩინელი გარბოდა- გამოუდგნენ ცხენოსანი დარაჯები, ჩინელები შეიპყრეს, ნაწნავებით გადააბეს ერთი ერთმანერთზე და ხაილარს მიიყვანეს. ბოროტ-გამზრახველებს უპოვეს ქლიბი, პატრუქი, ბურღის მოსაშლელი და სხვა. ამას შემდეგ რკინის გზის ლიანდაგზე დარაჯი გააძლიერეს, მეტადრე ხიდებთან, ასე რომ შიში აღარაფრისაა (ზაბ. ობ. ვედ.).

ტფილისი

—

*** კვირას, 2 მაისს, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ, გადახდილ იქმნა პანაშვიდი ნიჭიერ ბელლეტრისტი ეგნატე ნინოშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ წარმომადგენელნი ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებისა და დიდ-ძალი ხალხი-

*** კვირას, 2 მაისს, ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

*** ხუთშაბათს, 6 მაისს, კრება ექმნება ტფილისის ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს.

*** მოკლე ხანში ტფილისში კრება ექმნებათ რკინის გზის მკურნალთ.

*** წელს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების ახალ სადგომის შენება უნდა დაეწყოთ, მაგრამ შორეულ-აღმოსავლეთში ომიანობის დაწყების გამო, სადგომის შენება გადადებულ იქმნა.

*** ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიას საწარმოო თანხა ამ ჟამად არა აქვს, ამიტომ ქალაქის გამგეობას ამ საგნისათვის 25.000 მანეთსა სთხოვს.

*** კვირას, 2 მაისს, ქარ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობიდან სულ 1.300 მანეთი შემოვიდა... წმინდა მოგება 600 მანეთამდეა. სეირნობას ბლომად არ დაესწრო საზოგადოება, რადგან ავ-დარმა ხელი შეუშალა.

*** მკითხველთ უწყიან, რომ ტფილისში აშენებენ პუშკინის სახელობაზედ ბიბლიოთეკას. ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილების გამოანგარიშებით, ბიბლიოთეკის შენობის აგებას 17.000 მანეთი მოუნდება.

*** კვირას, 2 მაისს, კრება ჰქონდა ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებას. პირველად აღიძრა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენი ფული გადავდოთ რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვისაო. კრებამ ერთხმივ დაადგინა 5.000 მანეთი გადასდოს საზოგადოების თანხიდან. ამავ კრებაზედ განხილულ და დამტკიცებულ იქმნა საზოგადოების მოქმედების წარსულის წლის ანგარიში და სავარაუდო აღრიცხვა მომავალ შემოსავალ-გასავალისა. შემდეგ არჩეულ იქმნენ თანამდებობის კაცნი. საზოგადოების გამგეობის თავ-ჯდომარედ ისევ პ. ს. ღამბაროვი იქმნა არჩეული.

*** ტფილისის ქალაქის მოურავი უკეთ არის, ამიტომ უკვე შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

*** 5 მაისისათვის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა კრებაა დანიშნული.

*** დღეს, 4 მაისს, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგაოებას კრება ექმნება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად.

*** ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელში სწავლა 29 აპრილს დასრულდა. პირველ მაისიდგან კი ეგზამენები დაიწყო.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ პოლიცმეისტერს წარუდგინა სია იმ ეტლებისა, რომელთაც გადასახადი არ შეუტანიათ გამგეობაში. პოლიცმეისტერმა საპოლიციო უბნების ბოქაულთ დაავალა, სამის დღის განმავლობაში ყველას გადაახდევინე ფულიო.

*** ამას წინად ტფილისის ქალაქის საბჭომ დაამტკიცა ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომელიც გირვანქა ხორცზე ერთის კაპეიკის მომატებას შეეხებოდა, არ გასულა აგერ ათი დღე და ხელ-ახლა აპირებს გამგეობა ფასის მომატებას. აზრად აქვს, გირვანქა ხორცზე 2 კაპეიკი მოუმატოს. ამ საგანს ქალაქის მომავალ ორშაბათის კრებაზე განიხილავს.

*** ფოთში ბურთის თამაშობაში 1 მაისს, როგორც დეპეშით გვატყობინებენ, ლელო გურულებს გაუტანიათ.

ხონის საოსტატო სემინარია დღიდან დაარსებისა.

—

აგერ 20—22 წელი გადის, რაც დ. ხონში არსებობს საოსტატო სემინარია, რომელსაც სახელად ჰქვიან „ქუთაისის სემინარია“, ფაქტიურად კი ეს სიმპატიური სასწავლებელი შუა-გულ ხონშია წამოჭიმული და ამიტომ ხონელები მეტ სარგებლობას ჰხედამენ მისგან, ვინემ ქუთათურნი *)!—მსგავსი ტიპის სასწავლებლები ძალიან ცოტაა კავკასიაში, თუმც საჭიროება მეტს ითხოვდა!—ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ ეს ერთია საოსტატო სემინარია. ტფილისის გუბერნიაშიც მხოლოდ ერთი საოსტატო სემინარია მოქმედებს, რომელსაც ეწოდება გორის სემინარია, მესამე საოსტატო სემინარია არსებობს ქალაქ «ერევანში». მორჩა და გათავდა! მხოლოდ ეს სამი სასწავლებელია მთელ კავკასიაში, რომლებიც გვაძლევენ ღირსეულს, პედაგოგიურ ცოდნით აღჭურვილ ახალგაზდობას—მხოლოდ ამ სამსასწავლებელზედ არის დამყარებული სოფლელთა ნორჩ ახალგაზდობის ბედ-იღბალი.

დღიდან დაარსებისა ხონის საოსტატო სემინარიას მოუცია ჩვენთვის დაახლოვებით 500 პედაგოგიურ ცოდნით აღჭურვილნი და შეიარაღებულნი ახალგაზდანი, რომლებსაც აღუზრდიათ, ნათლის გზაზედ დაუყენებიათ რამდენიმე ათასი ყმაწვილი. თავის არსებობის განმავლობაში სემინარიამ საკმარისად მოგვცა რჩეული ნიჭიერი პედაგოგები, საზოგადოებისათვის თავგანწირულნი, რომლებიც გამოსულან საზოგადო მოღვაწის სარბიელზედ და თავისი პირადი ბედნიერება საზოგადოების ინტერესების დასაცველად შეუწირავთ.

ხონის სემინარია საერთოდ ყოველ წელს, დაარსების მეოთხე წლიდან, იძლევოდა 20—25 ახალგაზდა პედაგოგს, სოფლის მასწავლებლებს. შესვლის მსურველნი ხონის სემინარიას დღიდან დაარსებისა უხვად ჰყავდა და ჰყავს დღესაც. 15–20 თავისუფალ ადგილის დასაჭერად შემოდიოდა და შემოდის 120—200 თხოვნა. დანარჩენი 180 კაცი თვალ-ცრემლიანი უბრუნდება სახლის კერას. სრულიად ეკარგებათ სწავლის ხალისი და არა ბოროტად დაბადებული ბოროტ ასპარეზს ირჩევს სამოქმედოდ..

ხონის საოსტატო სემინარიას აქვს პანსიონი. პანსიონში ეტევა 100—112 კაცი. შეზღუდულ პანსიონისათვის, როგორც სარწმუნო წყაროებიდგან გავიგეთ, მიუქცევია ყურადღება სამოსწავლო მთავრობას და ამ რამდენსამე თვის წინად, სახელდობ, წასულ 1903-ს წელში, ხაზინას გადუდვია ხონის სემინარიის მთავარ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 52,000-ს მანეთამდე.—სემინარიის მთავრობამ პანსიონის გასადიდებლად ვეებერთელა შენობის აგება უკვე იჯარით გასცა (43,000 მ.). უკვე მოზიდულია: კირი, აგური. მალე შეუდგებიან შენობის აგებასაც.

პანსიონის გადიდების შემდეგ სემინარიის მთავრობა გაორწილებს მოსწავლეთა რიცხვს და, ნაცვლად 20-ის კაცისა ყოველ წლივ მიიღებს 40 კაცს. ვუსურვოთ ამ ფრიად სიმპატიურ სასწავლებელს ჩქარის ნაბიჯით წინმსვლელობა და დღეგრძელობა!..

ილია ბახტაძე.

---

*) ქუთათურნი ითვლებიან სემინაარიის პატრონად. ი ბ.

ჩვენებური ამბები

—

კახეთი. ჯერ კახეთში ისეთი ავაზაკობა არა ყოფილა, როგორც ეხლა არის. ისე დღე არ გავა, რომ რომელიმე სოფლიდამ ხმა არ მოვიდეს, ეს და ეს ამბები მოჰხდაო. 27 აპრილს ს. კონდოლის ეკლესია გაქურდეს; ამავე დღეებში თელავში თ. მიხეილ კაკეს ძე რუსიევს ფური მოჰპარეს გომურიდამ, მაგრამ ამ უკანასკნელ 29 აპრილს რომ შემაძრწუნებელი ამბავი მოჰხდა, ჯერ კახეთში ასეთი მაგალითი არავის უნახავს ამ ახლო დროში. 29 აპრილს საკურდღელაუროში, რომელიც პირველად თელავს ეკუთვნოდა,

ფელეტონი

—

ქუთაისი.

მშვენიერი ქუთაისი
თვით სამოთხის სადარია,
მაგრამ მისმა ხასიათმა
ჩვენში ყველა გადარია!

—

ხან ზამთარი გაზაფხულს ჰგავს,
ხან ზაფხულში ზამთარია.
არც რიგი აქვს, არც კანონი,
კეკლუც ქალის სადარია!

—

მისი დარიც და ავდარიც
ბედია და ლატარია:
ვერ შეუტყობ, რა დროს რაა?
სწორედ ქალის სადარია!

—

უმიზეზოდ მოიღრუბლებს,
როცა მზეა და დარია!
გაგაოცებს ულოდნელად:
კეკლუც ქალის სადარია!

—

მყუდროების დროსაც, როცა
არც სიო, არც ქარია,
მტვერს უეცრად შემოგაყრის!
ანჩხლი ქალის სადარია!

—

ეს თვალთ-მაქცი ქუთაისი
ხან ტკბილია, ხან მწარია,
მაგრამ თავის ნება კია,
რადგან ქალის სადარია!

—

ვინც მიენდო, ჩაითრია!
ყველას ხელი მან დარია,
მეც შორიდან მიტომ მიყვარს,
რომ ქალების სადარია!

ჯაჯა:

—

თ-დ ალ. სუმბათაშვილის პიესა «ღალატი».

(შემდეგი *).

ოთარ-ბეგი, ეს «ძლიერი მეომარი და მეგობარი თეიმურაზ მეფისა», გორის ერისთავი, საქართველოს გადუდგა, რჯული გამოიცვალა და სოლეიმანის ყურმოჭრილი მონა, ერთგული ძაღლი გახდა. გასპარსელდა და სპარსელზედ უარესი გახდა ყველაფერი ქართველური დაივიწყა, როგორც პიესიდგან სჩანს. თუ როგორ გამოიცვალა ეს ოდესმე მამულის ერთგული მეომარი, ცხადად გვიჩვენებს მისი სიტყვები: „მახვილო წინასწარ მეტყველ მაჰმადისაო! შენის წყალობის სანაცვლოდ დავაქციე ის ტაძარნი, სადაც ოდესმე ვლოცულობდი! ჩემის მამა-პაპის სამარხს თავზე დავაქციე კამარა-შეკრული თაღები და იმათს საფლავზე მგლებს გააქვთ ღლეს ყმუილი. შევიბრალე განა ჩემი მახლობელნი და შორეულნი! შენ არ მომიწოდე განა ცეცხლითა და მახვილით მოსრე ყოველივეო? ჩემი მარჯვენა არ აქცევდა განა უწმინდურ ქრისტეანეთა სისხლს და არ ჰღებავდა მით მტკვრისა და არაგვის წყალს აგერ თვრამეტი წელიწადი? იმ სისხლში არ ერია განა ჩემის ძმებისა, ნათესავებისა და მეგობრების სისხლი?! ქვაქვაზე აღარ დავტოვე იქ, სადაც 23 ეკლესია იყო აგებული, მიწასთან გავასწორე 11 მონასტერი, ხის ჯვრებზე გავაკარ შეგინებულნი გვამნი მღვდლებისა და მონოზნებისა და მივეც მტკვრის ტალღებს გურგანის ზღვაში ჩასატანად. იდიდოს სახელი ირანისა! მე, ქართველმა დაბადებით, გავქელე საქართველო ისე, როგორც ჰქელავს შვილი თავის შემცოდე დედას. გავქელე და ფეხქვეშ გადმოგიგდე შეკრული და შებოჭილი. და თუ ესეც ცოტაა, თუ ესეც სათნო არ არის შენთვის, შეიწირე ჩემი სიცოცხლე, დამსაჯე, მეფევ ძლიერო! (თავს იხრის მის ფერხთა წინაშე).

როგორც სჩანს ამ სიტყვებიდან, ჩვენ ვხედავთ გამხეცებულს-კაცს, რომელსაც დევიზათ გაუხდია: მტარვალობა თავისიანებისადმი, ღვინო, ღვინო და ქალები! დაუჯერებელია, ასეთ ნაირად გადახალისება კაცისა, მერე იმ ხნის კაცისა, რა ხნისაცაა ოთარ-ბეგი (ორმოცდა ათი წლისაა). და თუ ეს მოსახერხებელია, ამგვარი გახრწნილის გვამის გამობრუნება ყოვლად მოუხერხებელია. სწორედ სასწაულთ მოქმედებაა ოთარ-ბეგის გარდახალისება, როგორც სპარსელებისაკენ ისე ქართველებისაკენ. სასწაულთ მოქმედებანი კი წარსულ, ნეტარად მოსაგონებელ დროში ხდებოდა. თუ პსიხოლოგიის თვალით შევხედავთ პიესის ოთარ-ბეგს, მისი გასწორება მხოლოდ სამარეს შეუძლიან და არა მისთვის რაღაც სამშობლოსადმი, იმ სამშობლოსადმი სიყვარულს და გულმტკივნეულობას, რომელიც მან მოსაზრებ[illegible] ფიქრებით გასთელა. თ. სუმ[illegible] რათა ეს სულით და ხორცი[illegible] არსება გამოებრუნებინა და ზნეობრივად მახინჯი ოთარ-ბეგი სამშობლოს მხსნელად გამოეყვანა, ერთი წმინდათა-წმინდა დაუტევა ქვეყნად—გაიანე შეეხნენ ოთარბეგის წმინდანს და „სოლეიმანის მატლმაც“ თვალები გააჭყიტა და თავი მოიქექა!

ვინ არის ოთარ-ბეგი? განდგომილი ქართველი. მასში ქართველური აღარაფერი მოიპოვება! მაშ ვინ არის? რუსი? არა. ფრანგი? არა. ის ნამდვილი სპარსელია, მართლ-მორწმუნე მაჰმადიანი! აი ამისთანა კაცს ეუცხოვა თავის ქალის, გაიანეს ირანში წაყვანა შაჰის საცოლოდ! ჩვენ დარწმუნებული ვართ, არც ერთი მართლ-მორწმუნე მაჰმადიანი და ერთგული ირანის ქვეშევრდომი ამ ბედნიერებასა და პატივზედ უარს არ იტყოდა! ოთარ-ბეგსაც, როგორც იმისთანას, რომელშიც ყოველი ქართველური მოისპო და თვითონ ირანის «ერთგულ ძაღლად გადაიქცა», ეს არ უნდა ეუცხოვებოდეს; მით უფრო, რომ ოთარ-ბეგი დარწმუნებული იყო, გაიანე, მისი შვილი «ირანის დედოფალი - როგორც თვითონ ეუბნება გაიანეს—გახდებოდა, ასი მხევალი მონებად ეყოლებოდა, ოქროს სასახლეში იცხოვრებდა»; თვითონ ოთარ-ბეგს კი დიდება მოემატებოდა, როგორც შაჰის სიმამრს, მისი გავლენა იათკეცებდა. ოთარსაც ხომ ეს მოსწონს? მას ხომ პირადმა ინტერესებმა და პატივის მოყვარეობამ ატირთებინა ღალატი სამშობლოსი და ეშმაკებისთვის [illegible]იმინა სული! მაშინ რამდენიც უნდო[illegible]იფნა, წინ ვინ დაუ[illegible] მაგრამ [illegible] და ხორცით გახრწნილ მეომრის დახმარებით განეთავისუფლებინა საქართველო, ავტორის ფანტაზიამ შექმნა მხსნელად გაიანე, რომ არა ჩვეულებრივი ამბავი მომხდარიყო,—ოთარ-ბეგი გამობრუნებულიყო. არა ჩვეულებრივი მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ დიდი უფსკრულია ოთარის დაცემასა და გამობრუნებას შორის. კაცი, რომელსაც, დავიწყებია თავისი ვინაობა და სხვისა-ბუნებად გადაქცევია, ასრე ადვილად ვერ გარდახალისდება. ერთი ბეწვა ნაკვერცხალიც ქართველობისა მაინც რომ ულვიოდეს ოთარ-ბეგს, მისი გამობრუნება კიდევ მოსალოდნელია, მაგრამ ამას არ ვხედავთ. პიესიდგან ოდნავათაც არის არა სჩანს, რომ ოთარ-ბეგი სოლეიმანის წინაშე ან იმის ზურგთ უკან პირმოთნეობდეს, თაღლითობდეს, როგორც ზეინაბი. ამისათვის ამ გვარი უცები გარდახალისება კაცისა ჩვენ დაუჯერებლად მიგვაჩნია. დეე ეს, ბ-ნ ავტორს, სწამდეს და მასთან ერთად იმათ, ვისაც ჩვენს ცოდვილ დროში სასწაულთ-მოქმედება შესაძლებლად მიაჩნია.

(შემდეგი იქნება).

იხ. „ივერია“ № 100

ღამის პირველ საათზე ყაჩაღები დაეცნენ ძმებს ლუკა და დათიკო ლუხუტაშვილებს. ერთმა ყაჩაღთაგანმა კარები დაურახუნა ნაცნობის სახელით, გომურაშვილი გიორგი ვარ, კარი გამიღეო. სახლის პატრონმა უარი უთხრა კარების გაღებაზე. რაკი მოტყუებით ვერას გახდნენ, შემდეგ ძალას მიჰმართეს და დაუშინეს კარებს ხან წიხლი ხან ქვები, შემდეგ ჩაამტვრიეს ფანჯარა და დაუშინეს თოფები; დასჭრეს თოფით ლუკა ლუხუტაშვილის ცოლი. ქმარი დაჭრილ ცოლს ვერ მიეშველა, რადგანაც უარესი მოელოდა იგი კედელს მოეფარა თოფით ხელში, თუ ვინიცობაა ფანჯრიდან შეცვივოდნენ, პასუხი მიეცა მტრისთვის. ზოგი ყაჩაღთაგანი მეორე ოთახს ეცა; სცადეს იქიდან მაინც შესვლა, მაგრამ ამაოდ. გავარდა ფანჯრიდან თოფი. ეს იყო დათიკო ლუხუტაშვილი. თოფების ცლაზე მეზობლები მიეშველნენ და ყაჩაღები გაიქცნენ. ნახევარ საათის შემდეგ მოისმა კვნესის ხმა მახლობელ ადგილიდგან. ჰნახეს, რომ ერთი ყაჩაღთაგანი გდია დაჭრილი დათიკო ლუხუტაშვილის თოფისაგან. დაჭრილს მკლავში აქვს მოხვედრილი, მუშტის ოდენა ხორცი აქვს მკლავიდან გამოგლეჯილი. დაჭრილს აღმოაჩნდა ერთი თოფი, ხოლო ჯიბეში კართოფილის სანთელი, სპიჩკა, ერთი სათითე ქალისა და ერთი გულის ბროშკა, ერთი დანა, რომელსაც პირი სისხლიანი ჰქონდა. დაჭრილს ვინაობა ჰკითხეს. გამოდგა გავაზელი, თელავის მაზრისა, დათიკო გუნგუაშვილი. ამხანაგები დაასახელა: 1, ლევან ჯავშანაშვილი, 2, მიხა ათანაშვილი, 3, ფირუზა ორკოდაშვილი 4, დათიკო ლაფაური. იგივე ჩაბუცე, 5, ლეკი; მისი სახელი და გვარი არ უთქვამს, ხ. ფშაველი გიორგი. ეს საქმე ადგილობრივ გამოიძიეს და განკარგულება მოახდინეს ყაჩაღების დასაჭერად. დაჭრილი ამ ცოტა ხანში გამოუშვიათ ციხიდან, საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

ვასო თუშმანიშვილი.

ხმა შორიდან.

მრავალ-ტანჯულ საქართველოს ბევრი ისეთი შვილი ჰყავს დაკარგული ოსმალეთში, რომელთაც აღარ ახსოვთ წმ. ნინოს „ვაზის ჯვარი“, გამუსულმანებულან, და, თითო-ოროლას გარდა, დავიწყებიათ ქართული ენა. ძნელია, როდესაც ასეთ გადაგვარებულ ადამიან შეხვდებით. სიბრალულით გევსება გული და აღარ იცი, როგორ მოიშორო თავიდან გულ-საკლავი ფიქრები.

ოსმალეთის ერთ ქალაქს, სახელდობრ ფუცანს, გემში ჩაჯდა ჩვენთან ერთად ერთი ოსმალო; მისი მოსული ტანი, რაინდული მიხვრა-მოხვრა, დარდიმანდი ქცევა და ცოცხალი, ცნობის-მოყვარე თვალები სრულებით არ ჰგავდა ოსმალოს ტანსა და მისი სახეს. არც შევცდარვარ. ახალი თანამგზავრი ქართველი აღმოჩნდა, დადიანი ზაადე ხულუსს.

დადიანს ქართული წერა დავიწყებია, კითხვის ხსოვნა ოდნავ შერჩენია, ლაპარაკი-კი იცის. «დაუბუნებელი» «ჯილვი», «ქიშპი», «დაბურული», «მოკრძალება», «მოზოგვა», «ჯირითი», «მწადდა»,—ასეთი სიტყვები ხშირი იყო მის საუბარში.

მხოლოდ ახლა აღარ მიკვირს ღვთიურ ჰომიროსისა და რუსთაველის გმირების გულჩვილობა. ბ-ნი ზაადე ხულუს დადიანს, ამ ენერგიულ სახის პატრონს, ცრემლის ნაკადული წამოსკდა თვალთაგან, როდესაც ვაჩუქე თამარის სახე. მაშინვე იცნო და ტუჩებზე მიიკრა. მცირე ხანს ათრთოლდა, სათათრეთს მიაჩერდა და სთქვა: „ოჰ, ტიალო მხარე“! ამ სამმა სიტყვამ მართლა დახატა მისი გრძნობა.

ზაადეს ეს ახსოვს წარსულისა: გურიაში ვიყავ აღსაზრდელად ერთ გურიელთან და იქიდან მომიტაცესო.

მთხოვა ქართული წიგნები და, ჩემდა საუბედუროდ, ერთი წიგნი არ გამაჩნდა.

ზაადე დადიანმა პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ შვილებს ქართულს შევასწავლი, თუ წიგნები ვიშოვეო. ეხლა უმორჩილესად ვთხოვ «წერ. კითხ. გამავრ. საზოგადოებას» ან რომელსამე კეთილს ქართველს, გამოუგზავნოს ზაადე დადიანს წიგნები. მაგალითად, მშვენიერი იქნება მისთვის: «იავნანამ რა ჰქნა—ი. გოგებაშვილისა, რამდენიმე ცალი «დედა-ენა» მისივე; «თავდადებულნი ქართველნი» მისივე და იაფი საკითხავი მოთხრობანი *).

ჯაჯუ ჯორჯაძე.

ნარკვევი

„მოსკ. ვედ.“ ამ ჟამად სცდილობს გამოარკვიოს, თუ რა ტაქტიკას უნდა დაადგეს რუსეთი ომის დროს, ან რა საომარი იარაღი უნდა შეიძინოს. ამას წინად გაზეთმა გამოსთქვა ის აზრი, რომ გადავდოთ 150 მილიონი მანეთი ფლოტის გასაძლიერებლადაო. ამ აზრს ამავ გაზეთის მეორე ნომერში ეთანხმება პროფესორი ნ. ნ. ლიუბიავინი და ამბობს, ამ ფულის ნახევარის გადახდა წელს შეიძლება სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის შემცირებითაო.

დიდი მსხვერპლი არ იქნება,—განაგრძობს ავტორი—თუ ომის გამო გადავდეთ ერთის, ან ორის წლით სხვა-და-სხვა სასწავლებლების დაარსება. განა ბევრი უნდა ვილაპარაკოთ ამგვარ მსხვერპლზედ, როდესაც შორეულ-აღმოსავლეთში მეღობელობის დაკარგვას გვიქადის იაპონელთა გამარჯვება ომში? რაც შეეხება სადსრის გამოძებნას, ეს შეიძლება ზემოდასახელებულ ხარჯთა შემცირებით და გადასახადების გადიდებით. მართალია ინგლისელი ჟურნალისტები და და რუსის ანარქისტები სწერენ რუსეთის ხალხს გადასახადი ძალიან მძიმე ტვირთად აწევს კისერზეო, მაგრამ ეს ხომ ტყუილია? ეჭვს გარეშეა, რუსეთში ფული ბევრია, რაც სჩანს იქიდან, რომ დღემდე 10 მილიონი მანეთი იქმნა მოგროვილი წითელის ჯვრის სასარგებლოდ და ფლოტის გასაძლიერებლად.

1) რუსეთის მიყრუებულ ადგილებში მილიონობით არიან ისეთები, რომელნიც თავიანთის წვლილის შეწირვას არ დაიშურებენ, მაგრამ არ იციან, თუ შეწირულება გროვდება, ან ფულის გამოგზავნა უძნელდებათ

2) არიან რუსეთში ბევრი ისეთნიც, რომელთაც იციან, რომ ფული გროვდება ფლოტის გასაძლიერებლად, მაგრამ არაფერს იძლევიან, რადგან გულ-გრილად უცქერიან სამშობლოს განსაცდელს.

გადასახადი კი რომ გავაძლიეროთ, უვედა გადაიხდის. სახელმწიფოს სრულიად არ დააწვება ტვირთად, რომ გავაძლიეროთ შემდეგი გადასახადები:

1) სახლის გადასახადი.

2) არაყისა, ლუდისა, ღვინისა, თუთუნისა, სპიჩკისა და შაქრის აქციზი.

3) ბაჟი საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ საქონელზედ.

4) ფასი ფოსტა-ტელეგრაფით გასაგზავნ კორრესპონდენციებისა, მაგალ. წერილების ფასი $1\frac{1}{2}$ ჯერ გავადიდოთ, დეპეშებისა კი ერთი ორად.

5) ფასი საზღვარ-გარეთ წამსვლელთა პასპორტებისა.

დღემდე პასპორტები წელიწადში სამი თუმანი ჰღირს, ზემოხსენებული ავტორი ურჩევს, ოცდა-ათ თუმნად გავხადოთო.

„ივერიის“ ფოსტა.

ნ. იმ—შვილს. ლექსი «ლოთი» არ დაიბეჭდება, სალექსო ტეხნიკა არ უვარგა, იწყება 15 მარცვლოვანის ტაეპებით, მერე 14-ზედ გადადის, მერე კიდევ 15-ზედ. ცეზურა ჯერ ასეთია: ხუთი—ხუთი—ხუთი, მერე: ოთხი—ხუთი—ხუთი, მერე კიდევ ხუთი—ოთხი—ხუთი. ეს შეუძლებელია სილაბიურს ლექსთ-თხზვაში. მეორე ლექსი: „დამშვიდდი სულო“ არ დაიბეჭდება. «აღმოხვრა წყლულისა» ვერ არის კარგი ქართული, აგრეთვე „დავაშთო ზღვა“. დავაშთო ჰნიშნავს დახრჩობას და არა დაშრობას. არ გაგიგონიათ «შიშველი იუდასი»? ეს პირველსავე ტაეპში შევნიშნეთ, დანარჩენი ორი ტაეპი აღარ წაგვიკითხავს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 მაისი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს: «ჩვენ შევიწყნარეთ უქვეშევრდომილესი შუამდგომლობა სამსახურს გარეშე მყოფ მე-2 რანგის კაპიტანის გრაფ სტროგანოვისა, რომელსაც სურს თავისი წვლილი შესწიროს სამხედრო ფლოტის გაძლიერების საქმეს კრეისერისა ან სხვა სამხედრო გემის შეძენით და ამიტომ ყოვლად უმოწყალესად ვბრძანებთ: ნება მიეცეს გრაფ სერგეი სტროგნოვს აღნიშნულ საჭიროებისათვის დახარჯოს ერთ მილიონ ხუთას ათას მანეთამდე იმ ხელუხლებელ თანხიდან, რომელიც ინახება სახელმწიფო ბანკში და ეკუთვნის გრაფ სტროგანოვების გვარეულობას თანახმად ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე პირველისმიერ 1817 წ. 11 აგვისტოს გამოცემულის ბრძანებისა. უმართებულესი სენატი ამ ბრძანების აღსასრულებლად საჭირო განკარგულებას მოახდენს», ნამდვილზე მის უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია: «**ნიკოლოზ**» ცარსკოე სელო, 1904 წ. 28 აპრილი.

ტოკიო. 30 აპრილი («რეიტ. სააგენტო»). გუშინ იაპონიის ფლოტის მე-3 ესკადრა, ადმირალ კოტაიკის წინამძღოლობით მოქმედებდა კერრისა და ღრმა ბუხტებში ტალიენვანთან; ამ მოქმედების დროს ადმირალს დაეღუპა ნაღმიანი ნავი № 48. ადმირალი კოტაკი კერრის ბუხტაში მივიდა დილას და მაშინვე გაგზავნა სამხედრო გემები ტალიენვანისთვის ყუმბარების დასაშენად. როცა ნაღმიან ნავების ფლოტილია რუსების მიერ ზღვაში ჩაშვებულ ნაღმებს იჭერდა, კრეისერმა «მიაკო»-მ აღმოაჩინა, რომ ნაპირზე რუსის ჯარის ერთი როტა და ცხენოსანთა რაზმი იყო. ბუხტის დათვალიერება ნაშუადღევის სამ საათზე დასრულდა. ორმა ნაღმიანმა ნავმა კერრის ბუხტის დასავლეთ ნაპირზე აღმოაჩინა ტელეგრაფი, რომელიც ნახევარკუნძულის ნაპირის გაყოლებაზე მუშაობდა; ლეიტენანტი ხოლტა მაშინვე ნაპირზე გადავიდა და გააფუჭა ტელეგრაფი. ესკადრა ამ დროს მიუახლოვდა ნაპირს, რომელიც ნაღმებითაა გამაგრებული. კრეისერი «მიაკო» ღრმა ბუხტის დასაზვერავად წავიდა და აღმოაჩინა რუსთა სადარაჯო სადგური. რუსების რაზმმა, რომელიც 10 როტისაგან შესდგებოდა, უკან დაიწია და მთას ამოეფარა. ნაღმიანმა ნავებმა № 48 და № 49 აღმოაჩინეს მცურავი ნაღმი; სხვა-და-სხვა გზით სცადეს ამ ნაღმის აფეთქება, მაგრამ ვერ მოახერხეს; ამ დროს ნაღმი თავისთავად აფეთქდა და შუაზე გადაამტვრია ნაღმიანი ნავი № 48. ნავი 7 წუთში დაიძირა. ესკადრის ნავებმა გადაარჩინეს დაჭრილები. შემდეგ იაპონელებმა ნახეს კიდევ სამი მცურავი ნაღმი და ააფეთქეს.

ირკუტსკი. 1-ლ მაისს საღამოს, მოვიდა დიდ ოკიანეს ფლოტის ამირბარი ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი და ღამე ვაგონში გაათია. ადმირალი დღეს 11 საათზე ბაიკალის სადგურზე წავა, სადაც ყინულის გამჭრელი ნავი ელის; ტბის იქითა ნაპირზე სკრიდლოვი ამ ნავით გადავა, რადგან ტბა ჯერ კიდევ გაყინულია.

ბლაგოვეშჩენსკი. გენერალ-გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილებანი გამოსცა, რომლითაც აღკრძალულია საჯარო ყრილობანი და მშვიდობიანობისა ან წესიერების დამარღვეველი მოქმედებანი.

შანჰაი. («რეიტ. სააგენტო»). 431 რუსი, უკანასკნელ ბრძოლათა დროს დატყვევებულნი, კუნძულ სიკოკოზე მიჰყავთ.—იაპონელთა ძლიერმა ჯარმა აიონი დაიჭირა, რათა შემოუაროს მოტიენლინის უღელტეხილზე მდგომ რუსებს.

ბერლინი. ტოკიოდან იტყობინებიან, რომ იაპონელთა მესამე ლაშქარის მობილიზაცია უკვე რამდენიმე დღეა დასრულდა, ამ ლაშქრის მთავარ-სარდალია გენერალი ნოძუ. ეს ჯარი გემებში ჩასხეს ერთსა და იმავე დღეს იაპონიის რამდენსამე ნავთსადგურებში. რამდენიმე რაზმი კიდეც გამართა ბრძოლის ველზე. გერმანული პრესა მიუდგომლად მსჯელობს ომის შესახებ და არც რუსეთის, არც იაპონიის მხარეს არ იჭერს მხოლოდ იუმორისტული გამოცემანი სხვანაირად იქცევიან, რაც გერმანიაში უკმაყოფილებას იწვევს; ზოგიერთი გაზეთი ურჩევს იუმორისტულ პრესსას, მეტის პატივით მოეპყრათ რუსეთსაო; ამგვარივე მოწოდებანი ოფიციოზურს გაზეთებშიაც დაიბეჭდა. სატირულ გამოცემათა საქციელის გამო კანცლერმა მწუხარება გამოსთქვა რეიხსტაგში. გერმანიულ გაზეთებში ხშირათ აღნიშნავენ ხოლმე, რომ საუკეთესო და დასაჯერებელ ცნობას ომის შესახებ რუსეთის ოფიციალურნი მოხსენებანი გვაწვდიანო.

კამიშლოვი. სამხედრო უწყებამ დაიქირავა რამდენიმე კერძო გემი, რათა სურსათ—სანოვაგე ტიუმენიდან ციმბირის მდინარეებით ბრძოლის ველზე გაგზავნოს.

ნიუ-ჩუანი. („რეიტ. საავ.“) ინკოუს მახლობლად ყაჩაღებმა მიჰყვეს ხელი ძარცვას. რამდენიმე მდიდარი მცხოვრებელი ჩაიგდეს ხელში, უნდათ ამანათებად გამოიყენონ. იაპონიის არმიის ერთი ნაწილი ჩრდილოეთ-დასავლეთით მიდის, სიუანისაკენ. ნამდვილად არ არის ცნობილი, რიცხვით რამდენი არიან იაპონელები. ნიუჩუანის სიახლოვეს რუსების ჯარი ორ პოლკისაგან შესდგება; რუსები, უკან დაწევის დროს, სწვავენ რკინის გზის სადგურებსა და სურსათს. ადგილობრივი ჩინელები შიშობენ, რუსები რომ ამ ოლქიდან წავლენ, ყაჩაღები დაგვცემენ და გაგვძარცვავენო. ნიუ-ჩუანის სავაჭრო საწყობები უდიდესია მთელ მანჯურიაში: იქ 50 მილიონ ოქროს ტაელად ღირებული საქონელი ძევს. იუანშიკაის მრჩეველი, პოლკოვნიკი მუნტე, დაბრუნდა პეკინში.

პეტერბურგი. გენერალ ხარკევიჩის დეპეშა, უმთავრეს შტაბში გაგზავნილი 30 აპრილს, 1904 წ: «29 აპრილს იაპონელთა რაზმი ქვეითა ჯარის ათას კაცისა და 2 ესკადრის ცხენოსან ჯარისაგან შემდგარი, მიუახლოვდა სადგურ პულიანდიანს, სადაც იაპონელებმა ცოტაოდნად გააფუჭეს რკინის გზის ლიანდაგი. დალნიდან წამოსული მატარებელი, რომელშიც მოხელეთა ცოლშვილნი ისხდნენ, იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. საღამოზე იაპონელებმა უკან დაიწიეს. ღამე 30 აპრილს დაუქმებულ იქმნა სადგური ვაფანდიანი. ღამე პულანდიანს ანათებდენ პროჟექტორები იაპონელ გემებისა, რომელნიც ნავთსადგურ ადამში იდგნენ. 30 აპრილს აღმოაჩინეს იაპონელთა რაზმები პულანდიანის სიახლოვეს, ერდოხულინის უღელტეხილზე, მდინარე მანიუხეს ხეობაში, სიუანიდან 12 ვერსის მანძილზე აღმოსავლეთით, საიმაძისა და უღელტეხილის შუა, ფინხუანჩენისკენ მიმავალ უმთავრეს გზაზე. ჩინელ ყაჩაღების ბრბოები თავს ესხმიან ჩვენ ჩქარა-მავალ ფოსტას, სადგურ იანტაისთან აღმოაჩინეს ხუნხუზების დიდი ბრბო“.

გენერალ-მაიორის ფლუგის დეპეშა, სამხედრო მინისტრის სახელზე გაგზავნილი 30 აპრილს, 1904 წ.: «იაპონელებმა დასტოვეს კუანდანსიანი. სიუანისაკენ, დაიანხეს გაყოლებაზე, მიდის მტრის ლაშქარი, თითქმის ერთ დივიზიამდე. ცნობა გვაქვს, რომ დაგუშანიდგან ჩრდილოეთით დიდი ჯარია თავმოყრილი. 28 აპრილს იაპონელთა ლაშქარი გაემართა ფინხუანჩენიდან ლიაოიანისაკენ. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა სროლა აუტეხა მტრის მოწინავე რაზმებს სოფელ სელიუჯანთან; დაგვიჭრეს ჩიტას მე-2 პოლკის ასის თავი ვალი და მოგვიკლეს ორი ყაზახი. კორეველები თვითონ აფუჭებენ ტელეგრაფს კენგშენესი და სენჯინს შუა» —გენერალ-მაიორის ფლუგის დეპეშა, სამხედრო მინისტრის სახელზე გაგზანილი 1 მაისს, 1904 წ.: »29 აპრილს ქვეითა ჯარის ერთ ბატალიონისა და 2 ესკადრონისაგან შემდგარმა იაპონელთა რაზმმა დაიკავა პულანდიანი, საღამოზედ კი მოშორდა სადგურს. დალნიდან წამოსული მატარებელი იძულებული შეიქმნა უკან დაბრუნებულიყო. რკინის გზაზედ მიმოსვლა შესწყდა. ღამე 30 აპრილს პულანდიანს ანათებდნენ ნავთსადგურიდგან და მტრის გემებიდგან პროჟექტორებით. 30 აპრილს ისევ დაინახეს იაპონელთა რაზმები სადგურ პულანდიანს ახლოს. პულანდიანიდან ხუთი ვერსის სიშორეზე სამხრეთით იაპონელებმა ააფეთქეს რკინის გზის ლიანდაგი. 29 აპრილს დაინახეს იაპონელთა მზვერავები სიუნიდან 12 ვერსის მანძილზე. აღმოსავლეთით, საიმაძისა და უმთავრეს გზის შუა, უღელტეხილზე ჩინელებმა დაიწყეს თავდასხმა ჩვენ ჩქარა მავალ ფოსტაზედ. იანტაის ახლოს აღმოაჩინეს ხუნხუზების დიდი ბრბო. საზღვრის დარაჯებისა და მისსიონერების ცნობებით დაპანძიაძეში, კუანჩენზიდგან სამხრეთ დასავლეთით, 40 ვერსის მანძილზე, მზადდება ჩინელთა ამბოხება რუსებისა და ქრისტიანების წინააღმდეგ».

შანჯაიგუანი („რეიტ. საავ.“). ფინხუანჩენიდან გამოსულმა იაპონელებმა სიუიანი დაიჭირეს.

ნიუ-ჩუანი («რეიტ. საავ.»). იაპონელები ბიძივოში ჯარის გადმოსხმას განაგრძობენ. რკინის გზით მიმოსვლა ხელახლად შესწყვიტეს.

სეული («რეიტ. საავ.». განუწყვეტლივ მოდის ცნობა, რუსის ჯარის რაზმები ჩრდილოეთ კორეიაში იმყოფებიანო.

ბერლინი. შანჰაიდან ლონდონში ცნობა მიუღიათ, რუსის საფოსტო გემების აფიცრები, რომლებიც ორის თვის განმავლობაში სასებოში იყვნენ დაჭერილნი და ეხლა განთავისუფლდნენ,—ამბობენო, იაპონიის სამხედრო გემებს იმაზე უფრო დიდი ზიანი მოუვიდათ, რაც ადმირალ ტოგოს მოხსენებაში ეწერაო.

მუკდენი. «დაწვრილებითმა გარემოებამ აღმოაჩინა, რომ პორტ-არტურიდან მომავალ მატარებელზე წითელ ჯვრის ბაირაღი იმ დროს გაშალეს, როცა მატარებელი ცინჩოუდან გავიდა. ამ მატარებელში ავადმყოფ მაომრებს გარდა, სხვა მეომარი ჯარის-კაცი არავინ არა ყოფილა, ამიტომ იაპონელებისათვის თოფი არავის უსროლია. იაპონელებმა უმიზეზოდ დაუწყეს თოფის სროლა და, როცა მატარებელი იმდენზე გაჰშორდათ, რომ თოფი აღარ მისწვდებოდა, სროლაზე ხელი აიღეს. გენერალ-მაიორი ფლუგი».

ლონდონი. გენერალი კუროკი იუწყება, იაპონელების ერთმა რაზმმა კუანდაიანი დაიჭირაო.

ბერლინი. (სპეციალური). ნაგასაკიდან დეპეშა მოვიდა: რუსებმა რომ სატრანსპორტო გემი «კინშიომარუ» დაღუპეს, ამაზე პასუხი უნდა აგონო. იაპონიის იმპერატორი დაიბარებს ამ ადმირალებს და განმარტებას მოსთხოვს, «კინშიომარუ» მარტო რად მიდიოდა, რატო სამხედრო გემები არ გააყოლეთო; ორივე ადმირალი სასტიკ საყვედურს მიიღებენო.—შანხაიდან იუწყებიან, იაპონელების რაზმმა ფინხუანჩენიდან 70 კილომეტრის მანძილზე აიხონა დაიჭირა იმ აზრით, რომ მოტენლინგის უღელტეხილს ჩრდილოეთიდან შემოუაროს.—ლონდონში ცნობა მიიღეს, აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ კორეაში, ხამ-ხინის მიდამოებში 2 ათასი ყაზახი გაჩნდაო.—სეულიდან იაპონელი ჟანდარმები გავიდნენ იმ ყაჩაღთა ბრბოების გასაფანტად, რომლებიც სეულიდან ფუზანამდე გაყვანილ რკინის გზას თავს ესხმიან.

2 მაისი

მუკდენი. მიღებულია ცნობები, რომ სადგურები—პულანდიანი, ვაფანდიანი, ვაფანგოუ და ვანძელინი დაუქმებულია. პულანდიანიდან სამხრეთით 5 ვერსის მანძილზე ააფეთქეს ლიანდაგი. ნავთსადგურ ადამში 30 აპრილს ღამე აღმოაჩინეს მტრის გემები. საზღვრის დარაჯთა ცნობებით, იანტაის სიახლოვეს აღმოაჩინეს ხუნხუზების დიდი ბრბო.

ირკუტსკი. 1 მაისს გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი დაბრუნდა მანჯურიიდან სადგურ ბაიკალზე.

ვაშინგტონი. კონგერი დეპეშით იუწყება, ჩინეთის მთავრობა ხელახლად ირწმუნება რომ მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიცავს და სრულიად დარწმუნებულია, რომ განახორციელებს ამ განზრახვას.

შანხაი. («ვოლფის საავ.») ვეშაპის დამჭერ გემის «გიორგის» კაპიტანი სიმენკოვი და იმისი ცოლი შანხაის ნავთსადგურში მოჰკლეს და გაძარცვეს ჩინელმა მეზღვაურებმა. ბოროტ-მოქმედნი მიიმალნენ.

ტოკიო. («რეიტ. საავ.») 450 რუსი ტყვე, მათ შორის 16 აფიცერი, მაცუიამას მივიდნენ; ისინი სიამოვნებით ახსადებენ, იაპონელები კარგად გვეპყრობიანო.

ნაგასაკი. (რეიტ. საავ.) გემი «კოლომბომარუ» მოჯის წავიდა, მოჰყავს 452 კიულენჩენთან ბრძოლაში დატყვევებული რუსი; ამათგან 291 კაცი მაცუიამაში გაიგზავნება.

1 მაისი.

პეტერბურგი («ვოლფის საავ.»). სამხედრო უწყება თხოულობს დელეგაციებისაგან, რომ სამხედრო საჭიროებისათვის და ახალ ზარბაზნების შესაძენად 90 მილიონი კრონი გადიდვასო. ამავე დროს საზღვაო სამინისტროც თხოულობს 75 მილიონ კრონის გადადებას საზღვაო საჭიროებისათვის.

ბერლინი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ თიბეთელებმა მხეცურად სტანჯეს და ლუკმა-ლუკმა აკუწეს ტყვედ წაყვანილი ინგლისელები—ერთი კაპიტნის მოსამსახურენი. თიბეთელები. ეხლა ხმარობენ ევროპის საუკეთესო იარაღს და 7 ზარბაზნიდან ყუმბარებს ესვრიან ინგ-

---

*) სამწუხაროდ, პატივცემული ავტორი წერილისა არ იწერება, სად სცხოვრობს ბ-ნი დადიანი და რა ადრესით უნდა გაეგზავნოს ქართული წიგნები. იმედია, რომ ამ ცნობას მალე მოგვაწვდის. რედ.

ლისელთა ბანაკს; დღე და ღამე სამაგრეებს აშენებენ და მაშველი რაზმებიც მოსდით შიხაძედან და ლხასიდან.

პარიზი. გაზეთები «მატენ», «რეპუბლიკ» და «ფიგარო» დიდ კმაყოფილებას აცხადებენ იმის გამო, რომ რუსეთმა მოიწონა ქედივის დეკრეტი, და ამბობენ, ამნაირად რუსეთმა ხელ-ახლად დაამტკიცა, რომ იგი საფრანგეთის მეგობარია და ამავე დროს თავაზიანად მოექცა ინგლისსაცაო. ამ საქციელს ძრიელ კარგი შედეგი უნდა მოჰყვეს რუსეთის ინტერესებისათვის და ქვეყნის მშვიდობიანობისათვისაო.

ადენი. («რეიტერის სააგ.») გამოცხადებულია, რომ ადენში შავი ჭირი გაჩნდა.

პარიზი. რომიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის ელჩმა გადასცა სტატს-სეკრეტარს ნოტა რომელშიაც გამოცხადებულია, რომ საფრანგეთის მთავრობა არაფრად არა სთვლის პაპის პროტესტს ლუბეს მოგზაურობის წინაღმდეგ.

ვენა. საზღვაო სამინისტრო თხოულობს რომ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვით 34 მილიონი კრონი ნაღმიან გემების აგებისათვის გადაიდოს და 10 მილიონი წყალ-ქვეშ მოსიარულე ნავებისათვის. სამხედრო მინისტრი 50 მილიონ კრონს თხოულობს არტილერიისათვის ახალ ზარბაზნების შესაძენად.

სოფია. მთავარი ნიშში წავიდა სერბიის მეფის სანახავად. მთავარს ახლავან სამინისტროს მეთაური და შინაგან საქმეთა მინისტრი.

ბელგრადი. მეფე ნიშს წავიდა, ბოლგარიის სამხედრო აგენტიც თან გაჰყვა.

კონსტანტინეპოლი. პორტამ ლონდონისა და პარიზის სამინისტროებს ახალი ნოტა ჩააბარა ინგლისის-საფრანგეთის შეთანხმებისა და ეგვიპტეს საქმის შესახებ.

მოსკოვი. სლავიანოფილ ხომიაკოვის დაბადების დღიდგან ასის წლის შესრულების გამო, სლავიანთა საზოგადოებამ პანაშვიდი გადაიხადა. თავმჯდომარემ ჩერეპ სპირიდონოვიჩმა განმარტა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ხომიაკოვს, როგორც სლავიანთა შეერთებისა და საყოველთაო ძმურ მშვიდობიანობის მოციქულსა და მქადაგებელსა. ხომიაკოვის წინასწარმეტყველების ერთი ნაწილი გამართლდა კიდევაც: რუსეთის იმპერატორის სიტყვით ჰააგის კონფერენცია დაწესდა. იმედია, ეს წინასწარმეტყველება მომავალში მთლად ასრულდება. ამისათვის. რაც კი შეგვიძლიან, უნდა ვეცადნეთ, რომ სლავიანთა ძლიერი ფედერაცია დავაწესოთ. მაშინ რუსეთს, სხვა სლავიანებთან ერთად, 200 მილიონი ხალხი ეყოლება 1912 წლისათვას, ესე იგი იმ დროსათვის, როცა ასი წელიწადი შესრულდება მას აქეთ, რაც რუსეთს თორმეტი ტომი შემოესია.

მოსკოვი. დანილოვის მონასტერში განსვენებულის ხომიაკოვის საფლავზე პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს დასწრნენ ქალაქის წარმომადგენელნი, რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებისა და სლავიანთა საზოგადოებისა და სლავიანთა საზოგადოების წევრნი და განსვენებულის ნათესავები.

ბერლინი. (სპეციალური) გაზეთები იუწყებიან, იტალიის მეფე-დედოფალი ამ ზაფხულს პოტსდამში ესტუმრებიან გერმანიის იმპერატორსა და დედოფალსაო. ჯერ ზედმიწევნით არ იციან მოსვლის დღე. იტალიაში უკანასკნელად ყოფნის დროს, იმპერატორმა ვილჰელმა თითონ მოიწვია იტალიის მეფე და მეფეც დაუყონებლივ დასთანხმდაო.

პარიზი. მინისტრების საბჭომ დაადგინა გუშინ, პოლკოვნიკი მარშანი სამსახურიდან გადავაყენეთო. გაზეთების უმეტესობამ დღეს წერილები უძღვნა ამ დადგენილებას, ნაციონალისტური გაზეთები მკაცრად ჰკიცხავენ სამინისტროს და ნამეტნავად პირველ მინისტრს.

სოფია. (ოპოზიციის მომხრეთა). მაკედონიიდან გარდახვეწილნი პატარ-პატარა ჯგუფებათ ბრუნდებიან სამშობლოში; ადრიანოპოლის ვილაეტიდან გარდახვეწილნი—ესენი გაცილებით მეტნი არიან,—ჯერ არ მოდიან, რადგან დარწმუნებულნი არ არიან, რომ სამშობლოში საკმაო სურსათსა და ბინასა იშოვიან და ყანების შემუშავებასა და დათესვას შეიძლებენ. მთავრობის ბძანებით, გარდახვეწილთ მაინც ბეჯითად ურჩევენ სამშობლოში დაბრუნებასა. გარდახვეწილთ აფრთხილებენ, თუ სამშობლოში არ დაბრუნდებით, ბოლგარიის ხაზინა ვერ შესძლებს თქვენს შენახვას და, დასასრულ, იქმნება ოსმალეთის მოხელეებმაც აღარ მოგცენ ნება სამშობლოში დაბრუნებისაო.

2 მაისი.

ნიში. სერბიის მეფე და ბოლგარიის მთავარი სადგურიდამ ერთად წავიდნენ პრეფექტურაში და იმუსაიფეს მეოთხედ საათის განმავლობაში; შემდეგ საუზმე გაიმართა. სერბიის მეფემ აღყვავება უსურვა ბოლგარიას და მთავრის ოჯახის სადღეგძელო დალია. მთავარმა ფერდინანდმა მადლობა უთხრა, დალია მეფის ადღეგრძელო და სერბიის ერს კეთილდღეობა უსურვა. მეხუთე საათზე ბოლგარიის მთავარი ვენას გაემგზავრა. მთავარმა უბოძა მეფეს ალექსანდრეს პირველ ხარისხის ორდენის ნიშნები. მეფისა და მთავრის შეხვედრას არავითარი პოლიტიკური შეთანახმება არ მოჰყოლია.

ბელგრადი. მეფემ უბოძა ჩერნოგორიის მთავარს ყარაგიორგის პირველ ხარისხის ორდენი.

ნიში. მეფე შუადღისას მოვიდა და სულით და გულით მიეგება ბოლგარიის მთავარს.

ბელგრადი. ბელგრადში ჰფიქრობენ, შესაძლებელია ბოლგარიასთან სამხედრო კონვენცია შეიკრასო და სხვა-და-სხვა გვარი მოსაზრება მოჰყავთ ამგვარ შეთანხმების სარგებლობისათვის.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, აეკრძალოს გაზ. «პეტერბურგსკი ვედომოსტებს» ცალკე ნომრების გაყიდვა.

სოფია. («ოპოზიციის მომხრეთაგან»). ბოლგარიის მთავარი, მინისტრ პრეზიდენტისა, შინაგან საქმეთა მინისტრის და საერო კრების პრეზიდენტის თანხლებით ნიშში მივიდა სერბიის მეფის სანახავად; მეფეს ახლდნენ მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე და შინაგან საქმეთა მინისტრები. მისალმებისა და საუბრის შემდეგ მეფემ სადღესასწაულო საუზმე გამართა. ირწმუნებიან, რომ ნიშში ხელს მოაწერენ ბალგარია-სერბიის ზოგიერთ შეთანხმებას საეკონომიო და სადამოჟნო საქმეთათვის, აგრეთვე სამხედრო კონვენციას მტრის მოსაგერებლად კავშირის შეკვრისათვის. ბოლგარიის პრესსა თავდაჭერით მსჯელობდა ამ შეხვედრის შესახებ. სერბიის პრესსა კი, პირიქით, დიდის თანაგძნობით ეგებება. სხვათა შორის სერბიის პრესსა აღნიშნავს, რომ სერბიაში ბოლგარიის მთავრის მოსვლა - პირველი ვიზიტია.

ბუდაპეშტი. დაიწყო დელეგაციების კრება.

2 მაისი

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა 1 მაისით: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობას კონტრ-ადმირალ ვიტგეფტისაგან გამოგზავნილს ცნობებსა პორტ-არტურის საქმეთა მდგომარეობის შესახებ 23—29 აპრილის განმავლობაში. ეს ცნობები მოგვივიდა საგანგებოდ გამოგზავნილის კაცის ხელით სადგურ დაშიჩაოდან, მისვლა-მოსვლის მეორედ შეწყვეტის წინა დღითა. 22 აპრილს პორტ-არტურის წინ გამოჩნდა მტრის ესკადრა, რომელშიც არის ჯავშნიანი გემები, კრეისერები და ნაღმოსნები. სდგანან, მაგრამ არა მოქმედებენ. «ცესარევიჩისა» და «რეტვიზანის» შესაკეთებლად მუშაობა კვლავინდებურად მხნედ სრულდება. როდესაც გავშინჯეთ რეიდი და ზღვაში გასავალი იმ ადგილას, სადაც ჯავშნიანი გემი «პობედა» დაზიანდა ნაღმისაგან, ვიპოვეთ მტრისაგან ჩახერგილი ნაღმი, რომელიც აფეთქდა».—დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრეს შტაბში 1 მაისით: «ფინხუანჩენიდან მტრის მოწინავე რაზმები მოვიდნენ ტინპუმდე, 40 ვერსზე ფინხუანჩენიდან. ჩვენი ორასი ყაზახი სოფელ კანდუდიაძესკენ წავიდნენ, სამ ვერსზე ტინპუდან. იაპონიის რაზმი, შემდგარი სამი ბატალიონისაგან 10 მთის ზარბაზნითა და ორის ესკადრონით, რომელიც მოდიოდა სელიუჩანიდგან მოდულინის უღელტეხილის გზით, 28 აპრილს ტაფანგოუს ხეობაში იყო, 12 ვერსით დასავლეთად უმთავრესის გზისა ლიაოიანისკენ. მასუკან იაპონელთა მოძრაობის შესახებ ცნობა აღარ მოგვსვლია. აქედან სჩანს, რომ იმ რაზმმა ტაფანგოუდამ შეუხვია დასავლეთად ხაიჩენისაკენ. 30 აპრილს იაპონიის რაზმი წავიდა შუინპიდან სამხრეთად, რომელსაც ყაზახები გამოეკიდნენ. ჩვენმა მოწინავე ასმა კაცმა ნახევარ საათის სროლის შემდეგ დროზედ შეამჩნია იაპონელთაგან დამზადებული საფარი და ამიტომ უკან დაიწია; მზვერავებმა ვერ გამოარკვიეს, რომ ლიდიაპუროს და ერტაოფანს ტუინპის ქვემოდ სამს ვერსზე, მოადგა იაპონელთა ორი პოლკი რვა ზარბაზნით და სამის ესკადრონითა. ლანშანგენსა და საიმაძს შუა ხუნხუზებთან შეხლის დროს მოჰკლეს სამი ყაზახი და სამი ცხენი, გაკენწლილია ერთი ყაზახი და ოთხი ყაზახი უგზოდ დაიკარგა. ხუნხუზების გასაძევებლად ღონისძიებაა მიღებული. მტრის მზვერავნი გამოჩნდნენ 25 ვერსზე სამხრეთ აღმოსავლეთად მოდულინის უღელტეხილიდგან. ასის-თავის ტონკიხის მზვერავებმა, გაგზავნილებმა ჩინტაიძისაკენ, მტრის დიდი ძალა ვერ იპოვნა.—როგორც ჩინელები იტყობინებიან, დაგუშანი და ჩინტაიძი ხუთას ხუთასი კაცისგან შემდგარ რაზმებს დაუჭერიათ, დიდი ძალა-კი თავმოყრილია 16 ვერსზე ჩრდილო-დასავლეთად დაგუშანიდგან. სიუიანიდან დაბრუნების დროს მზვერავებს შებრძოლება ჰქონდათ მტრის მცირე მზვერავ რაზმთან, ამ დროს მსუბუქად დაიჭრა ერთი ყაზახი და მოკლულ იქმნა იაპონიის დრაგუნი. სილიჩჟაიპუძის მხრიდან ახალი ცნობები არ მოგვსვლია. 30 აპრილს იაპონელთა რაზმმა, ათას კაცამდე, სადგურ პულანდიანიდან 9 ვერსი წინ წამოიწია, მეორე რაზმი—300 ქვეითა ჯარის კაცი და ნახევარ ესკადრონი,—სადგურ ვავანდიანს შემოსავლელად წამოვიდა. საზღვრის დარაჯნი მძიმედ იწევენ ჩრდილოეთისაკენ და აბრკოლებენ მოწინაამდეგეს. 30 აპრილს 300 ხუნხუზი 22-ე სოტნამ და როტამ უკუ აქცია. ხუნხუზებმა დაჰკარგეს 80 კაცი და დაიწიეს ლიაოიანისკენ. 1 მაისს გათენებისას იმათ მზვერავნი გამოვუყენეთ. ხმები მოვიდა, ხუნხუზების დიდი ბრბო გაჩნდა დასავლეთად ლიაოიანიდან 16 ვერსზეო».

კოვნო. გოფმეისტერის ვატაცის მეუღლისაგან გამართულ სათნოების დათათვის კურსები გაუქმდა დღეს. კურსები ათ თვემდე იყო ცნობილ ექიმთა ხელმძღვანელობით. გაათავეს კურსი და ეგზემენია დაიჭირეს 50 მსმენელმა ქალმა ადგილობრივ უმაღლესის საზოგადოებისამ.

სევასტოპოლი. ზღვაზე ნისლია, სევასტოპოლში ჭექა-ქუხილია.—ჯავშნიანმა გემებმა „დვენადცატ აპოსტოლოვ" და «პამიატ მერკურია» იწყეს მოქმედება.

3 მაისი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე მემკვიდრე დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრესძე 2 მაისს ცარსკოე სელოდან წაბძანდნენ იმ ადგილას, სადაც სდგანან ნაწილნი იმ ჯარებისა, რომელნიც შორეულს აღმოსავლეთს მიდიან.

მოსკოვი. უპატრონო ყრმათა მზრუნველი საზოგადოება ამზადებს სადგომებს. სადაც უნდა იცხოვრიან სახელოსნოების უთვისტომო შეგირდებ-ვაჟებმა და ქალებმა გამოცდილ კაცთა ზედამხედველობით.

მუკდენი. როგორც ვუწყით, იაპონელთა დიდძალი ჯარი გროვდება ჩრდილო-დასავლეთის მიდამოში. ფინხუანჩე-იდგან გაბედულად ვერ მოდიან იაპონელნი ლიაოიანისაკენ. საფუძველია ვიფიქროთ, რომ იაპონელთა მეტი ჯარი ხაიჩენისაკენ მიდის.

კაიჯოუ. 30 აპრილს ხუნხუნზთა ბრბო, 300 კაცამდე, დაეცა იანტაის მაღნებს, მაგრამ უკუ აქციეს ზარალით. ხუნხუზთა ბრბო გამოჩნდა აგრეთვე ლიაოიანის დასავლეთით,

პანზიხე. («რეიტერის სააგენტო»). თიბეთელები კიდევ ესვრიან ჩინელების ბანაკსა. მთელი ქვეყანა აღელვებულია. ლამები დადიან კარდაკარ და უქადაგებენ სამღვთო ომსა. ზანაკის უკანა ადგილი სრულიად გახშნილია. ინგლისელები ძალიან ფთხილობენ.

ჩიფუ. ადმირალი სტერლინგი მოვიდა შანხაის ამერიკის გემით «ნიუ-ორლეანითა». ადმირალმა განაცხადა, გემის მოსვლის მიზეზი და მისი დანიშნულების აზრი მე არ ვიციო. კრეისერის მოსვლას ჩიფუში საყურადღებო მნიშვნელობა აქვს იმ განკარგულების გამო, რომ ამერიკის გემები შანხაის ზემოდ, ჩრდილოეთის მხრივ, არ წავიდნენ. შესაძლებელია, შეერთებულ შტატებს განძრახვა აქვთ დაცულ იქმნას ნეიტრალიტეტი ნიუ-ჯუანში, როდესაც რუსები დასცლიან ქალაქსა. ამერიკის კრეისერთ ისე განაერთა, რომ მდინარ, ლიაოხეში ვერ შედის.

ნიუ-ჩუანი. («რეიტერის სააგენტო»). ღამე ქალაქიდან ორ კილომეტრის მანძილზედ ავაზაკნი თავს დაესხნენ ჩინელებს.

შანჰაი. („რეიტ. სააგენტო". რუსნი გოუბანძისკენ იწევენ, საცა სინმიტონის რკინის გზა იწყება, და სტოვებენ ნიუძუატუნის სადგურს გარს-შემოვლას მოტიენლინის უღელტეხილთან იაპონელები კვლავ განაგრძობენ. რუსნი ძრიელ ემზადებიან პორტ-არტურის დასაცველად ხმელეთის მხრივ. დიდს თხრილებს იღებენ და ზედ ბამბუვის ხეებსა რგავენ. ზარბაზნების ტუჩები ჩრდილოეთისკენ აქვთ მიქცეული ხმელეთიდან მოტანილ იერიშის საწინაამდეგოდ. ყოველ-დღე შებრძოლებაა რუსთა და იაპონელთა რაზმებისა. ზარალი მცირეა. ინგლისის სამხედრო გემები გუშინ გავიდნენ გონგკონგიდან და გაემართნენ იანძიძიანისაკენ.

ტიანძინი. («რეიტ. სააგ»). ახლა სტოვებენ გოუბანძსა და სინმინტინსა. 300 ჩინელი იცავს ამ ადგილებს. 500 რუსი რჩება დალიანპუსა, გოუბანძიდან აღმოსავლეთად; 200 კაცი არის დალიანპუსა, და ტიანჟუატაის შორის. 600 ცხენოსანი და 400 ქვეითი ჯარის კაცი დაბანაკებულია ჩრდილოეთად დალიანის ხეობაში.

ტოკიო. («რეიტ. სააგ»). იაპონელები უახლოვდებიან პორტ-არტურს. დაიპყრეს მდინარე დაიანხე სიულანის სამხრეთად. ალყას რომ შემოარტყამენ პორტ არტურს, იხმარებენ დიდს ზარბაზნებს და ახალ ასაფეთქებელ ნივთიერებას.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგნი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

30 აპრილი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ. . . .	93,95
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში „	46,30
პარიჟში . . „	37,67½
ბირჟის დისკონტი.	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	90 წვ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ. . . .	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	87 ნის. გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	369½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	297½ წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	273 ნის. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	87 წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მ.მ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . .	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

განცხადებანი

გამგე კომიტეტი

ღარიბ მოწაფეთა დახმარებისთვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის მაისის ოცსა, ხუთშაბათს, საღამოს რვა საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო სადვილ-მამულო ბანკის სადგომში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება საზოგადოების წევრთა

განსახილველია:

1) ანგარიში საზოგადოების 1903 წლის მოქმედებისა და გამგე კომიტეტის მოხსენება ამ ანგარიშის გამო.

2) ხარჯთ-აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1904 წლისთვის.

3) მოხსენება გამგე კომიტეტისა საზოგადოების ახალის სახლის ვერაზე აშენების შესახებ.

4) საპენსიო წესდება სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

5) შესწორება საზოგადოების წესდების §§ 4 და 18.

6) მოხსენება ახალის შტატების შესახებ სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

7) მოხსენება გამგე კომიტეტისა სათავად-აზნაურო საქალო სკოლის შესახებ.

8) სხვადასხვა წვრილმანი საკითხი.

9) არჩევანი კომიტეტის ერთის წევრისა ნაცვლად გ. დ. ქურულისა, რომელმაც ვადის გასვლამდე თავი განება წევრობას.

(3—6—2)



ამერიკის
ავტომობილები
ბენზინით მოძრავი
ველოსიპედები
ბენზინის მატორებით.
Акц. О-во „ЭНФИЛЬДЪ"
МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.
СПБ. Морская, № 30.
(10—6—5).

გამოვიდა და ისყიდება ხიდღეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
НАРОДНАЯ МЕДИЦИНА
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი" მ. ვ. ლებედევის"
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ხუზელს და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.
იყიდება ტფილისში —სავაჭრო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მისის უმაღლესობის ზრინც ალექსანდრე ოლდენბურგსკის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვების, საქირურგო, დედათა და თვალთა ავადმყოფთათვის, აგრეთვე განყოფილება და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტი. გადამდებ-სენითა და სულით ავადმყოფთა სამკურნალო არ დებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანათამდე.

Дозволено цензурою Тифлисъ 3 мая 1904 г.
Тип. Е. И Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.